საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. კ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ადვოკატი ა. მ. /სიითი NX/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 003/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ც.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ც.-სათვის "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 13 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ც.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ჰქონდა დავა ერთ-ერთ საფინანსო ორგანიზაციასთან („ჯ. კ.-სთან") და 2019 წელს დახმარებისათვის მიმართა ზ. ც.-სა და ზ. ა.-ს, რომელთაც მისი საქმე უნდა ეწარმოებინათ სასამართლოში. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმეს 2019 წლის 24 აპრილს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზ. ა.-მ მისგან მიიღო 808 ლარი (300 აშშ დოლარი) ჰონორარის სახით. თანხის მიღების შემდეგ, ზ. ა. არ პასუხობდა მის ზარებს, ან წერდა სმს შეტყობინებებს - რომ მოგვიანებით გადაურეკავდა, თუმცა აღარ უკავშირდებოდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. შემდეგი სარჩელი სასამართლომ მიიღო წარმოებაში, მაგრამ ადვოკატებმა გამოიხმეს. მის საქმეზე ადვოკატებს არაფერი გაუკეთებიათ, მაშინ, როდესაც უმოკლეს ვადაში პირდებოდნენ დავის დასრულებას.

1.5 2020 წლის 25 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ თავდაპირველი მოლაპარაკებისას ზ. ა.-მ მას უთხრა, რომ შეიქმნებოდა ჯგუფი, რომელიც მის საქმეზე იმუშავებდა. მომჩივანის ინფორმაციით, ზ. ა. იქნებოდა მთავარი ადვოკატი, რომელსაც დაეხმარებოდა ჯგუფი, რომლის წევრიც იქნებოდა ადვოკატი ზ. ც..

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზ. ც.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2020 წლის 27 იანვარს, სადაც განმარტა, რომ მასსა და ა. კ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმება არ დადებულა და მას არ შეხვედრია მანამ, სანამ 2020 წლის 13 იანვარს არ შეწყდა ზ. ა.-სა და ა. კ.-ს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ შეთანხმება შედგა ა. კ.-სა და ზ. ა.-ს შორის, რასაც ადასტურებს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მომსახურების ჰონორარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი - თანხა მიღებული აქვს ზ. ა.-ს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მის ტელეფონის ნომერზე მომჩივანმა რამდენიმე ზარი განახორციელა იმ მიზნით, რომ ვერ უკავშირდებოდა ზ. ა.-ს და სურდა დახმარება მასთან დასაკავშირებლად. მათი ნაცნობობა და ურთიერთობა ამით შემოიფარგლა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, თავად, ზ. ა. და კიდევ რამდენიმე ადვოკატი სამუშაოდ იყენებენ ერთ საოფისე ფართს. ზ. ა. არის მისი მეგობარი და მუწვდება ხელი მის პირად მონაცემებზე, შესაბამისად ისე, რომ მისთვის არ უკითხავს მისი მონაცემები მისცა ა. კ.-ს, რომელმაც მასაც მიანიჭა უფლებამოსილება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმე უნდა შეწყდეს, რადგან არ ყოფილა ა. კ.-ს წარმომადგენელი.

2.6 საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 17 ივლისის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ის არ ყოფილა ა. კ.-ს წარმომადგენელი, არც ერთ დოკუმენტს აწერს ხელს და საჩივრის ავტორმა მის მიმართ მომართა ეთიკის კომისიას, რადგან ზ. ა. არ არის ადვოკატი და მის მიმართ საჩივრით ვერ მომართავდა ადვოკატთა ასოციაციას.

3. ადვოკატის მოწმის ზ. ა.-ს განმარტება:

3.1 2020 წლის 27 იანვარს ადვოკატის მოწმემ ზ. ა.-მ წარმოადგინა სანოტარო წესით დამოწმებული პოზიცია (სანოტარო რეგისტრაციის NX), სადაც მიუთითა, რომ მან აიღო ვალდებულება გაეწია მომსახურება ა. კ.-სათვის კონკრეტულ საქმეზე. საქმის წარმოება მთლიანად დამოკიდებული იყო მასზე და კლიენტს გაუწია კვალიფიციური მომსახურება.

3.2 მოწმის განმარტებით, ამ საქმეში ადვოკატი ზ. ც. არის არასათანადო მოპასუხე და მას შემხებლობა არ აქვს ა. კ.-ს საქმესთან. კლიენტს ზ. ც.-ს სახელზეც გააცემინა მინდობილობა, რადგან თუ მოუწევდა ქალაქიდან გასვლა ან წარმოიშვებოდა სხვა გარემოება და თავად ვერ მოახერხებდა პროცესზე გასვლას, ჰქონდა ზ. ც.-ს დახმარების იმედი. ამ ფაქტის შესახებ ადვოკატ ზ. ც.-ს ინფორმაცია არ ჰქონია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ზ. ც. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 ა. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 13 იანვარს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ც.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ზ. ც.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მის საქმეზე არ განახორციელა საადვოკატო მოქმედებები შეთანხმების ფარგლებში; ადვოკატმა არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება.

6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“.

6.3 კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვლება, როდესაც ორივე მხარე გამოხატავს ნამდვილ ნებას და შეთანხმდებიან საადვოკატო მომსახურების პირობებზე.

6.4 საქმეში არსებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს დირექტორს ზ. ა.-სა და ა. კ.-ს შორის. ზ. ც.-ს, როგორც ა. კ.-ს წარმომადგენლის ხელმოწერა დაფიქსირებული არ არის საქმეში წარმოდგენილ რომელიმე საპროცესო დოკუმენტზე. მხარეთა პოზიციებითა და მოწმის განმარტებაზე დაყრდნობით, ასევე წარმოდგენილი საქმის მასალებით კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ც.-ს არ აუღია ა. კ.-ს წარმომადგენლობის ვალდებულება.

6.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-

განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

6.6 კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ა. კ.-მ ვერ შეძლო დაედასტურებინა, რომ მასსა და ადვოკატ ზ. ც.-ს წარმოიშვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, რადგან ზ. ც.-ს არ განუხორციელებია ა. კ.-ს წარმომადგენლობა, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს, მისი როგორც ადვოკატის მოქმედებები.

6.7 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. ვინაიდან მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა არ დადასტურდა, ეთიკის კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეაფასებს ზ. ც.-ს ქმედებას.

6.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N003/20 ადვოკატ ზ. ც.-ს მიმართ /სიითი #/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/